შიდა პოლიტიკა

1. კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა: *როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფო მოწყობის მიმართ? აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას?*

- საქართველოსთვის სახელმწიფო მოწყობის საუკეთესო მოდელია ბალანსი სახელისუფლებო შტოებს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლება) შორის, ძლიერი არბიტრის პირობებში. ამისათვის ყველაზე შესაფერისია საპარლამენტო მონარქიის მოდელი, თუმცა ეს სისტემა უახლოეს პერიოდში მიუღწეველია, ამიტომ ამ ეტაპზე მხარს ვუჭერთ საპარლამენტო რესპუბლიკას პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტით;

- უნდა გაძლიერდეს პარლამენტის უფლებამოსილებები და კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ამისათვის:

    - დღეს არსებული 60 %-ის ნაცვლად, პარლამენტს უნდა შეეძლოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება სიითი უმრავლესობით;

    - საგამოძიებო კომისიის შექმნა შესაძლებელი უნდა იყოს პარლამენტის 1/5-ის მოთხოვნით, დადგენილების გარეშე, რათა არ იყოს საჭირო უმრავლესობის თანხმობა ამ გადაწყვეტილების მისაღებად.

2. განათლება: *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ და რა პოლიტიკას გვთავაზობთ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

- უნდა გაორმაგდეს განათლების ბიუჯეტი და გაიზარდოს 16%-მდე (მშპ-სთან მიმართებაში - 5%, დღეს არსებული 2,2 %-ის ნაცვლად);
- უნდა გაიზარდოს პედაგოგების კვალიფიკაცია ანაზღაურების გაზრდითა და გადამზადებით;
- პრიორიტეტული და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ქვეყნისთვის საჭირო პროფესიები, წახალისდეს პედაგოგის, ინჟინრის, აგრონომის, ვეტერინარის პროფესია;
- უმაღლეს სასწავლებელში სწავლება უნდა დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ, განსაკუთრებით, ქვეყნისთვის პრიორიტეტულ სპეციალობებზე;
- ხელი უნდა შეეწყოს საუნივერსიტეტო მეცნიერების გაძლიერებას დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდის გზით;
- უნდა გაიზარდოს პროფესიული განათლების დაფინანსება და შეადგინოს განათლების ბიუჯეტის 1,6 %;
- დაწყებითი და საბაზო განათლების საფეხურებზე მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით სრული უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე;
- სასკოლო განათლება უნდა გადავიდეს სამსაფეხურიან სისტემაზე: 1. დაწყებითი განათლება (1-6), 2. ბაზისური განათლება (6-10 კლასი), რომლის დასრულების შემდეგ მოსწავლე მიიღებს შესაბამის დიპლომს და შეძლებს, დაიწყოს მუშაობა ან გააგრძელოს სწავლა

პროფესიულ სასწავლებელში; 3. ბოლო საფეხურის (11-12 კლასი) დასრულება აუცილებელია იმისათვის, რომ ახალგაზრდამ სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში;

- ხელი უნდა შეეწყოს ინკლუზიურ სწავლებას;
- უნდა მოხდეს განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და დეპოლიტიზაცია და გაიზარდოს სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია;
- სკოლაში უნდა დაბრუნდეს არა მარტო ბავშვი, არამედ განათლებაც.

3. დასაქმება: *რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?*

დასაქმების ეფექტური პოლიტიკა უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ზრდას, მის განვითარებას და სტიმულირებას. ამ თვალსაზრისით, გრძელვადიანი სტრატეგიის უმთავრესი ამოცანა ლიბერალური, თავისუფალი და კონკურენტული ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური და ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებაა, რომლის ძირითადი მიმართულებებია:

- უსაფრთხო და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება;
- აქტიური ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება;
- მცირე ბიზნესის განვითარება და მისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულებები ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი ინიციატივებისა და ღონისძიებების გატარებას:

- უნდა განხორციელდეს ბიზნესის დეკრიმინალიზაცია ანუ შეწყდეს ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დევნა, გაუქმდეს წინასწარი პატიმრობა ეკონომიკური დანაშაულისთვის, აიკრძალოს ბიზნესზე სახელმწიფო ტერორი, უარი ითქვას სადამსჯელო და ჩასაფრების პოლიტიკის გატარებაზე;
- ორგანულ კანონად უნდა ჩამოყალიბდეს „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“. მასში ცვლილებების, დამატებებისა და შესწორებების შეტანა უნდა მოხდეს მხოლოდ წინასწარი ერთთვიანი საჯარო განხილვების საფუძველზე;
- დაცული უნდა იყოს თავისუფალი კონკურენცია და ქვეყანაში ამოქმედდეს სრულფასოვანი ანტიმონოპოლიური, ანტიტრასტული კანონმდებლობა;
- დაწესდეს დაბეგვრის საშეღავათო რეჟიმი მცირე საწარმოებისთვის;
- დაბეგვრის საშეღავათო რეჟიმი მცირე საწარმოებისთვის გავრცელდეს სამეწარმეო საქმიანობის ისეთ სახეობებზე, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი წარმოება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოება, კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება, ტურიზმი, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება;
- შეიქმნას „მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“ და „სასოფლო ბანკი“ მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობისთვის იაფი საკრედიტო რესურსის მიწოდების ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

4. ***ჯანდაცვა:*** *რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?*

- ქვეყანაში ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა მოქალაქის მაქსიმალური მოცვა ჯანმრთელობის დაზღვევით, ამისათვის:
    - სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა მოქალაქის დაზღვევა 65 წლის ზემოთ (მოცულობა - უმწეოთა პაკეტი + მედიკამენტები);
    - სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს 0-16 წლამდე ბავშვების დაზღვევა (მოცულობა - უმწეოთა პაკეტი + მედიკამენტები);
    - სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაზღვევა სოფლის ყველა მაცხოვრებლისთვის;
    - მოქალაქეთა საყოველთაო დაზღვევის მიზნით, უნდა დაწესდეს საგადასახადო შეღავათი - საშემოსავლო გადასახადისგან გამოქვითვა იმ ოდენობით, რაც ეღირება იმ წელს უმწეოთა პაკეტი + მედიკამენტი. აღნიშნული გამოქვითვის უფლება უნდა გავრცელდეს თავად უმწეო მოქალაქეებზე და უშუალოდ მათი ოჯახის წევრებზე; სურვილის შემთხვევაში, დამქირავებელს თანამშრომლის სამედიცინო დაზღვევაზე გაწეული ხარჯი უნდა გამოექვითოს მოგების გადასახადიდან;
    - სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სადაზღვევო კომპანიებთან მოქალაქეთა სამედიცინო დაზღვევის საბაზო პაკეტისა და მისი ღირებულების განსაზღვრის შესახებ.
    - ეს პაკეტი, ამ ღირებულებით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, მათ შორის, ინდივიდუალური დაზღვევის მსურველთათვისაც;
- ჯანდაცვის სისტემაში უნდა გაძლიერდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპონენტი (ეპიდემიოლოგია, დაავადებათა პრევენცია და ა.შ.)
- უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამები ისეთი საშიში და გადამდები დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, როგორიცაა C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი და სხვა.
- ფარმაცევტულ და, ზოგადად, სამედიცინო მომსახურების ბაზარზე უნდა გატარდეს აქტიური ანტიმონოპოლიური ზომები, კონკურენციის აქტიური ხელშეწყობის გზით;
- ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციისთვის იმ პრინციპით, რომ ეს იქნება ამ დაწესებულების, როგორც სამეწარმეო სუბიექტის პირდაპირი ხარჯი;
- უნდა მოწესრიგდეს შრომითი ხელშეკრულებები მედპერსონალთან, მათი უფლებების მნიშვნელოვნად გაზრდის კუთხით.

5. სოციალური უსაფრთხოება: *რა ინიციატივებით (თუკი ასეთი გაქვთ) გამოდიხართ სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?*

- ქვეყანაში არსებული უმუშევრობისა და მძიმე სოციალური მდგომარეობის პირობებში, ასობით ათასი ადამიანისთვის "უმწეოთა დახმარების“ პროგრამა არსებობის ერთადერთი საშუალებაა. ამ სფეროში არსებული პრობლემები: უსამართლობა, გაუმჭვირვალობა, სარეიტინგო ქულების მინიჭებაში მკაფიო კრიტერიუმების არარსებობა, სარეიტინგო

ქულების უთანაბრობა რეგიონების მიხედვით, განაპირობებს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის სერიოზულ უკმაყოფილებას. ამ პრობლემების მოსაგვარებლად:

- უნდა აღმოიფხვრას უთანაბრობა სარეიტინგო ქულების რაოდენობაში და დადგინდეს ქვეყნის მასშტაბით სარეიტინგო ქულების ერთიანი ჭერი (100 000 ქულამდე);
- მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს დახმარების გაცემისთვის ოჯახის სოციალური მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები და აღმოიფხვრას ორმაგი ინტერპრეტირების და სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა სოციალური აგენტებისთვის;
- უმწეოთა დაზღვევას უნდა დაემატოს მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

- ქვეყნის საპენსიო სისტემა სისტემურ ტრანსფორმაციას საჭიროებს და იგი უნდა დაეფუძნოს ინდივიდუალური შენატანებისა და ინდივიდუალური დანაგროვის პრინციპს. საპენსიო სისტემა უნდა მოიცავდეს 3 კომპონენტს:
  - საბაზისო საპენსიო განაკვეთს - მინიმალური ფიქსირებული სახელმწიფო საპენსიო სტანდარტი უნდა იყოს არანაკლებ საარსებო მინიმუმის ოდენობისა და უნდა დაენიშნოს უკვე პენსიონერ პირებს, საპენსიო ასაკს მიღწეულებს და მათ, ვისი ასაკიც აღემატება 40 წელს, ასევე, პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ შრომითი სტაჟი და შესაბამისად, მოკლებული არიან შესაძლებლობას, ჰქონდეთ ინდივიდუალური საპენსიო დანაგროვი;
  - ინდივიდუალურ საპენსიო დანაგროვს, რომლის ოდენობა უნდა განისაზღვროს და დამოკიდებული იყოს პირის მიერ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეტანილი თანხების ოდენობითა და ამ შენატანების გადახდის პერიოდით. აღნიშნული სისტემის რეგულირება უნდა განახორციელოს სახელმწიფომ, ხოლო მართვა - კერძო საპენსიო ფონდებმა. დანაგროვი უნდა გამოიქვითოს დასაბეგრი შემოსავლებიდან და გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისგან;
  - სპეციალურ საპენსიო განაკვეთს, რომელიც უნდა დაენიშნოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ვეტერანის სტატუსის მქონე პირებს. საპენსიო განაკვეთის ოდენობა საარსებო მინიმუმზე 30%-ით მეტი უნდა იყოს. იმ შეზღუდული შესაძლებლობებისა და ვეტერანის სტატუსის მქონეთათვის, რომლებიც ამავდროულად მარტოხელა პირის სტატუსს ფლობენ და დამოუკიდებლად გადაადგილებისა და საკუთარი თავის მოვლის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, საპენსიო განაკვეთი უნდა გაორმაგდეს.

6. ეკონომიკა: *როგორია თქვენი გეგმა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული თქვენს ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტული ინიციატივები გაქვთ?*

საქართველოში ეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, თუ რა მასშტაბებით და რა ტემპებით იქნება შესაძლებელი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ბიზნესპროცესების შემდგომი განვითარება და რამდენად სრულფასოვნად შეძლებს იგი რეალური ზრდის და განვითარების მიღწევას. ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის

ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს მცირე ბიზნესის და სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება და არა სახელმწიფო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება და განვითარება.

ამის უმთავრესი ამოსავალი პრინციპი დაფუძნებული უნდა იყოს კერძო საკუთრების, კერძო გარიგების და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის საკონსტიტუციო და საკანონმდებლო გარანტიების შექმნის საფუძველზე. სახელმწიფო მინიმალური დონით უნდა ჩაერიოს ბიზნესურთიერთობებში და თავად ბიზნესმა, განსაკუთრებით კი, მცირე ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდა, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების და ბიზნესის ზრდის უზრუნველმყოფი გადაუდებელი ღონისძიებები და სტრატეგია რამდენიმე ძირითად მიმართულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- აუცილებელია ბიზნესის დეკრიმინალიზაცია ანუ ბიზნესმენთა სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გაუქმება, ბიზნესზე სახელმწიფო ტერორის აკრძალვა, სადამსჯელო და ჩასაფრების პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმა;
- სასამართლო სისტემა უნდა გათავისუფლდეს სახელისუფლებო წნეხისგან და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდეს მიუმხრობლობის, ჩაურევლობისა და თანასწორობის სამართლიანი პრინციპები ;
- გატარდეს აქტიური ანტიმონოპოლიური და ანტიტრასტული პოლიტიკა, რაც ქვეყანაში მიზნობრივი და მაღალი რისკის მატარებელი ბაზრების აქტიური კვლევით, შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების დაგეგმვით და ამ ღონისძიებების აღსრულების პროცესზე ეფექტური მონიტორინგის განხორციელებით გამოიხატება.

7. ეკონომიკა: *როგორ აპირებთ ინფლაციის კონტროლს? რა მიდგომებს გამოიყენებთ ამისათვის?*

ინფლაცია, გონივრული და სწორი პოლიტიკის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლირებადი და რეგულირებადი ეკონომიკური კატეგორიაა. ქვეყანაში ინფლაციის, ასევე, პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და სერვისებზე ფასების ზრდის მთავარი მაპროვოცირებელი და განმსაზღვრელია ოთხი ძირითადი მიზეზი:

- გარე ფაქტორები და მსოფლიო ეკონომიკურ ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციები;
- ბიუჯეტის დეფიციტი და მნიშვნელოვნად გაბერილი ხარჯვითი პოლიტიკა;
- მონოპოლიების და ოლიგოპოლიების მიმართ ხელისუფლების ლოიალური და შემრიგებლური პოლიტიკა;
- შიდა წარმოების დაბალი მაჩვენებელი და იმპორტის მაღალი წილი საერთო მოხმარებაში.

ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 2-3%-ს. მისი კონტროლისა და მართვის ეფექტურობას უზრუნველყოფს შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენება:

- ეროვნული ბანკის მხრიდან მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება;
- საბიუჯეტო ხარჯვითი პოლიტიკის ოპტიმიზაცია და სახელმწიფო ხარჯების შემცირება;
- მცირე მთავრობის პოლიტიკის განხორციელება, რაც სახელმწიფო აპარატის რიცხოვნების ოპტიმიზაციას და სახელმწიფო აპარატის შენახვაზე გასაწევი ხარჯების შემცირებას გულისხმობს;

- აქტიური ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება – ბაზარზე თავისუფალი საბაზრო ფასწარმოქმნის და ეკონომიკური სუბიექტებისთვის ბაზრებზე თავისუფალი შეღწევადობის პირობების უზრუნველყოფა.

8. გადასახადები და ფისკალური პოლიტიკა: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი პოლიტიკა საგადასახადო და ფისკალურ რეჟიმთან მიმართებაში და დაასახელოთ/განიხილოთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ამ მხრივ.*

საგადასახადო კანონმდებლობა არა ბიზნესის დასაჭერად, დასასჯელად ან/და დასაშინებლად, არამედ მის დასახმარებლად უნდა იქმნებოდეს. ეფექტური საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება უნდა ითვალისწინებდეს საგადასახადო კანონმდებლობის მცირე ბიზნესის ინტერესებზე ორიენტირებულობას და შემდეგი პრობლემური საკითხების გადაჭრას:

- ორგანულ კანონად ჩამოყალიბდეს „საქართველოს საგადასახადო კოდექსი.“ კოდექსში ცვლილებების, დამატებების და შესწორებების შედიოდეს მხოლოდ წინასწარი ერთთვიანი საჯარო განხილვების საფუძველზე;
- საგადასახადო კანონმდებლობაში მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ორმაგად წასაკითხი და რთულად განსამარტი დებულებები;
- საგადასახადო ადმინისტრირების კომპონენტის ლიბერალიზაცია საგადასახადო კონტროლის მექანიზმების შემცირებასა და პროცედურების გამარტივებას უნდა გულისხმობდეს;
- დაწესდეს დაბეგვრის საშეღავათო რეჟიმი მცირე საწარმოებისთვის, რაც გულისხმობს:
  (ა) სახელმწიფო რეგისტრაციის პირველ წელს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას;
  (ბ) საქმიანობის მეორე და მესამე წელს მოგების გადასახადის არსებული განაკვეთის მხოლოდ 50%-ის გადახდის ვალდებულებას.
- დაბეგვრის საშეღავათო რეჟიმი უნდა გავრცელდეს ექსკლუზიურად მხოლოდ შემდეგი პროფილის სამეწარმეო საქმიანობაზე:
  (ა) სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი წარმოება;
  (ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოება;
  (გ) კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება;
  (დ) ტურიზმი;
  (ე) ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება.
- გამარტივდეს საგადასახადო აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმები. საგადასახადო დეკლარირება უნდა განხორციელდეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ;
- აიკრძალოს ბიზნესის, განსაკუთრებით, მცირე ბიზნესის წინასწარი დალუქვების, მიმდინარე საქმიანობის შეჩერებისა და დაყადაღების პრაქტიკა, კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრული ერთეული გამონაკლისების გარდა;
- აეკრძალოს საგადასახადო ორგანოებს სალარო აპარატის სადამსჯელო ინსტრუმენტად გამოყენების პრაქტიკა;
- გამარტივდეს ჯარიმების სისტემა. არ უნდა გამოიყენებოდეს საჯარიმო სანქციები, თუ მეწარმე შეცდომით ან წინასწარი გაზრახვის გარეშე უშვებს შეცდომას კუთვნილი

გადასახადების გამოანგარიშებასა და გადახდაში. ჯარიმების ოდენობა და განაკვეთები უნდა იყოს დანაშაულის ან/და დარღვევის ადეკვატური და არ უნდა წარმოადგენდეს ბიზნესსაქმიანობის შეწყვეტის ან შეჩერების რისკს და საფუძველს.

9. სახელმწიფო ხარჯები: *დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, თუკი გაქვთ გამოკვეთილი ასეთი პოზიცია.*

სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 4-წლიანი პერიოდის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს 24-25%-ს.

10. სახელმწიფო ვალი და საბიუჯეტო დეფიციტი: *როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ? რა პოლიტიკას გაატარებთ ამ მიმართებით?*

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი საქართველოს სახელმწიფო ვალის წარმოშობის უმთავრესი საფუძველია. როდესაც ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების მოცულობა უფრო მცირეა, ვიდრე სახელმწიფოს ვალდებულებები და ხარჯები, ქვეყნის ხელისუფლება იძულებული ხდება, აიღოს საშინაო თუ საგარეო ვალი და ამით დააფინანსოს ბიუჯეტის რეალური დეფიციტი.

სახელმწიფო ვალის და საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტური მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია „ეკონომიკური თავისუფლების აქტით“ განსაზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრების კონტროლის ლიმიტებისა და შეზღუდვების მაჩვენებლების დაცვა. კერძოდ:

- საბიუჯეტო ხარჯების მშპ-სთან თანაფარდობა – არა უმეტეს 30%-სა;
- სახელმწიფო ვალის მშპ-სთან თანაფარდობა – არა უმეტეს 60%-სა;
- საბიუჯეტო დეფიციტის მშპ-სთან თანაფარდობა – არა უმეტეს 3%-სა.

ამასთან, კრიზისული ეკონომიკური სიტუაციების პრევენციის მიზნით, აღნიშნული ლიმიტების და შეზღუდვების თითოეულ მაჩვენებელში საჭიროა შეიქმნას სარეზერვო ლუფტი, ანუ ე.წ. „ბალიში“ 20-25%-ის ოდენობით, რაც საშუალებას მისცემს მთავრობას, საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობისა და საჭიროების შესაბამისად, მაკროეკონომიკური პარამეტრების კონტროლის ლიმიტებისა და შეზღუდვების დარღვევის გარეშე, მოახდინოს ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება სახელმწიფო ვალთან და საბიუჯეტო დეფიციტთან დაკავშირებით.

11. ეკონომიკა: *გთხოვთ, დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც 2016 წელს შესაძლებელი იქნება შეფასდეს თქვენი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგები.*

2012–2016 წლების პერიოდში განხორციელებული ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის შედეგების წარმატების კრიტერიუმებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი – არა ნაკლებ 8%;
- ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2016 წლისთვის – 43-45 მილიარდი ლარი;
- სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში – არა უმეტეს 24-25%-ისა;

- სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში – არა უმეტეს 40%-ისა;
- საბიუჯეტო დეფიციტის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში – არა უმეტეს 3%-ისა.

12. თავდაცვის პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია?*

თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების სფეროში ჩვენი მიზანია მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ნატოს სტანდარტების შესაბამისი მობილური შეიარაღებული ძალების შექმნა და იქ ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის დასავლური სტანდარტების უზრუნველყოფა. ამისათვის:

- უნდა გაუქმდეს სამხედრო სავალდებულო გაწვევა, არმია სრულად უნდა გადავიდეს საკონტრაქტო პრინციპზე, მოხდეს შეიარაღებული ძალების ოპტიმიზაცია;
- უნდა დაინერგოს ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის დასავლური სტანდარტები;
- შეიარაღებული ძალების ბიუჯეტის 40-45% სამხედრო მოსამსახურეების სოციალურ დაცვას უნდა მოხმარდეს;
- არმია უნდა გადაიარაღდეს და ნატოს სტანდარტებზე გადავიდეს, რისთვისაც:
    - მშპ-ის მინიმუმ 2% უნდა გამოიყოს თავდაცვაზე;
    - ეტაპობრივად უნდა შეიქმნას რეზერვის მრავალსაფეხურიანი სისტემა.

13. იძულებით გადაადგილებული პირები: *რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?*

იძულებით გადაადგილებული პირების დიდი ნაწილი დღემდე გაუსაძლის პირობებში იმყოფება, მათი უმრავლესობა მოკლებულია დასაქმებისა და შემოსავლის ქონის შესაძლებლობას და სახელმწიფო დახმარებაზეა დამოკიდებული. აუცილებელია ასეთ ოჯახებს არსებობის ღირსეული პირობები შევუქმნათ. ხოლო მათ, ვისაც სოფლის მეურნეობით დაკავება სურს, უნდა შევთავაზოთ დასახლება საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებულ სოფლებში, სადაც მიგრაციის შედეგად თავისუფალი საცხოვრებელი ადგილები გაჩნდა. თითოეულ ასეთ ოჯახს უნდა გამოეყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი მოწყობილი მეურნეობით, რათა შეძლოს ფერმერული საქმიანობის განვითარება.

14. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: *რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?*

საქართველო მოწოდებულია, აღიდგინოს და შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით. ამისთვის კი უნდა მივაღწიოთ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციას, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაციას და სუვერენიტეტის აღდგენას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე:

- ქვეყნის უსაფრთხოებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი იქნება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანება;
- საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება და ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდისა და ეთნიკურ ნიადაგზე დევნის ფაქტების აღიარება;
- საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა. ამ მისიამ უნდა მოიცვას ოკუპირებული ტერიტორიებიც, როგორც განსაზღვრულია მისი მანდატით;
- ჩვენ ერთგული დავრჩებით საქართველოს მიერ ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა;
- ქვეყანაში ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, რომელიც მიმზიდველს გახდის საქართველოში ცხოვრებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეებისთვის.

15. უმცირესობათა უფლებები: *რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?*

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უმცირესობათა უფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. ჭეშმარიტად პლურალისტული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საქართველოს მოსახლეობის თანაბარი ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლებას, მათ ინტეგრირებას, განათლებას და ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, აუცილებელია ყველა საჭირო პირობის შექმნა ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის.

16. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *ეუთოს წევრ სახელმწიფოთა შორის საქართველო ბოლო ადგილზეა საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის წევრ ქალთა რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გასაზრდელად.*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალები აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათი მონაწილეობა პოლიტიკაში, განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ძლიერ დაბალია. ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების დაცვა და ქალებისთვის ხელის შეწყობა, აქტიურად იყვნენ ჩართული საზოგადოებრივ- პოლიტიკურ საქმიანობაში. ამისათვის:

- სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამის მეშვეობით ხელი უნდა შეეწყოს პოლიტიკურ პარტიებში ქალების კარიერულ წინსვლას და მათ აქტიურ მონაწილეობას არჩევნებში როგორც პარტიული სიებით, ასევე, მაჟორიტარულ კანდიდატებად („ახალი მემარჯვენეების“ მთავარი კომიტეტის დადგენილებით, 2012 წლის საპარლამენტო და ყველა შემდგომი არჩევნების პარტიული სიის მინიმუმ 30%-ს ქალები წარმოადგენენ);
- უნდა მოხდეს ქალების მიერ უმაღლესი განათლების მიღების პოპულარიზაცია;
- ხელი უნდა შეეწყოს ქალების ჩართვას ბიზნესში სპეციალური საკონსულტაციო პროგრამებისა და იაფი საკრედიტო რესურსების მიწოდების გზით;
- ქვეყანაში საჭირო რაოდენობით უნდა იყოს ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რათა ბავშვის აღზრდა არ გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი დედის პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.

17. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.*

მომავალი თაობების უსაფრთხოებისა და ქვეყნის ჰარმონიული, მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია, დღესვე დავიწყოთ გარემოზე ზრუნვა. ამისათვის:

- უნდა შეიქმნას და განმტკიცდეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების არაეფექტური გამოყენების ეკონომიკური და საკანონმდებლო ბარიერები;
- მოძიებული და განვითარებული უნდა იყოს ენერგიის ალტერნატიული წყაროები;
- ყველა ზომა უნდა იყოს მიღებული გამონაბოლქვებით, ქიმიური ნივთიერებებით და სხვა სახის ნაგვით გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე დასაყვანად;
- უნდა ჩამოყალიბდეს ეკოლოგიური კულტურა და მოსახლეობაში პოპულარიზაცია გაეწიოს გარემოს დაცვას.

<u>საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები</u>

18. საგარეო პოლიტიკა: *გთხოვთ, განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და რა სტრატეგიის განხორციელებას აპირებთ ამ პრიორიტეტების რეალიზაციისთვის.*

საგარეო პოლიტიკაში ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სწრაფვას, საქართველო იქცეს ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილად. ნატოში გაწევრიანება საქართველოს უსაფრთხოების სტაბილური გარანტიაა. აქედან გამომდინარე, უმთავრეს პრიორიტეტს საგარეო პოლიტიკაში წარმოადგენს:

- საქართველოს გაწევრიანება ნატოში და ევროკავშირთან დაახლოება;
- თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყანაში ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას;

- ევროპასთან ინტეგრაციული პროცესების განვითარება;
- მშვიდობის, თანასწორობის, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებული ღია, პარტნიორული და თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყველა სახელმწიფოსთან და სახელმწიფოთა გაერთიანებებთან, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან და რეგიონის ქვეყნებთან;
- რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და არსებული უთანხმოებების მშვიდობიანი მოგვარება, საერთაშორისო თანამშრომლობით წვლილის შეტანა რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებაში;
- აზერბაიჯანთან და სომხეთთან ისტორიულად ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური ურთიერთობებიდან გამომდინარე, მათთან თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერება და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავება;
- ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება თურქეთთან, სავაჭრო, ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში;
- საქართველოს სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის გაძლიერება;
- ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში ქართული შენაერთების მიერ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულება, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა „ისაფ“-ში.

19. სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

ჩვენი უმთავრესი მიზანია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება; ამავე დროს, საქართველო კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში უნდა იყოს არა მხოლოდ ბენეფიციარი - ჩვენმა ქვეყანამ არა მარტო უნდა ისარგებლოს ნატოს სიკეთით, არამედ თვითონაც შეიტანოს თავისი წონადი წვლილი ბლოკის გაძლიერებაში. ამ მიზნით მნიშვნელოვანია:

- თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყანაში ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას;
- ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობა, ევროპულ ოჯახში ადგილის დამკვიდრება, აქტიური მონაწილეობა ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში.

20. რეგიონული თანამშრომლობა: *რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?*

საქართველომ უნდა გააგრძელოს და განამტკიცოს მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური, პარტნიორული ურთიერთობა:

- აზერბაიჯანთან და სომხეთთან ისტორიულად ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური ურთიერთობებიდან გამომდინარე, უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს მათთან თანამშრომლობა და გაღრმავდეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობები;
- უნდა გაგრძელდეს საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული თანამშრომლობა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში;
- უნდა გაღრმავდეს თურქეთთან ურთიერთობა, სავაჭრო, ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში;
- აუცილებელია ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობა, ევროპულ ოჯახში ადგილის დამკვიდრება, აქტიური მონაწილეობა ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში.

21. უსაფრთხოების პოლიტიკა: *როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?*

- ქვეყნის უსაფრთხოების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი იქნება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანება;

- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია არღვევს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრიობას და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ოკუპირებული რეგიონების ინტენსიური მილიტარიზაცია, კერძოდ, იქ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილების, ასევე, მისი უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ჯარების განლაგება ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, ემუქრება მის და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას;

- ჩვენ ვთვლით, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის საბოლოო მიზანი, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან ერთად, იყო ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა. დღესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ რუსეთი ეცდება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალიზაციისთვის ხელის შეშლას და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე ძალით დაბრუნებას. აქედან გამომდინარე, არსებობს ახალი რუსული აგრესიის რისკი. ჩვენი მიზანია ამ რისკის შემაკავებელი ფაქტორების შექმნა და უკვე არსებული ასეთი ფაქტორების გამოყენება (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნა, საერთაშორისო მხარდაჭერა და ა.შ.)

ჩვენი პრიორიტეტები ამ მიმართულებით იქნება:

- საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული მშვიდობიანი გზით და საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელშეწყობით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა;
- დეოკუპაციის შემდეგ იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაცია;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება, მათი ქონებრივი უფლებების აღდგენა და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა;
- საქართველოს სურვილია, იქონიოს რუსეთთან კეთილმეზობლობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ვერ მოხდება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და დეოკუპაციის განხორციელების გარეშე;
- საქართველო მხარს უჭერს კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე.

გთხოვთ, პირობითად გაანაწილოთ საქართველოს ბიუჯეტი თქვენი პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით:

ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკა და საბიუჯეტო ხარჯების მოცულობა პირდაპირპროპორციულად უნდა იყოს დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის (მთლიანი შიდა პროდუქტის) მაჩვენებელზე. შესაბამისად, საბიუჯეტო ხარჯების თანაფარდობას და სხვადასხვა საბიუჯეტო ხარჯის ხვედრით წილს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შემდეგი სახე უნდა ჰქონდეს:

- თავდაცვა – 2%;
- განათლება – 5%;
- შსს – 1,8%;
- ჯანმრთელობის დაცვა – 2,5%;
- სოციალური სფერო – 6%;
- სოფლის მეურნეობა – 2%;
- ინფრასტრუქტურული პროექტები – 2%;
- სახელმწიფო აპარატი – 1,5%.